N405 2015 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

„ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციის და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №344 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციის და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №344 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 19/12/2013, 130050000.10.003.017511) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციას და კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი (შემდგომში – კონტრდაზვერვის დეპარტამენტი).“.

2. მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორი ქვეყანაში განხორციელებული კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ ანგარიშს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მეშვეობით, წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს მთავრობას.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**